

შპს „New Road“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „New Road“

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ----- 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----- 7

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----- 8

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება ----- 9

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ----- 10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია -----	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა -----	13
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები -----	23
4. ძირითადი საშუალებები-----	24
5. არამატერიალური აქტივები -----	26
6. სხვა აქტივები -----	26
7. მარაგები-----	27
8. გაცემული სესხი -----	27
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები -----	28
10. თანხები საგარანტიო ანგარიშებზე-----	28
11. ფული და ფულის ექვივალენტები-----	28
12. ფინანსური იჯარის ვალდებულება -----	29
13. მიღებული სესხები -----	29
14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები -----	30
15. საგადასახადო ვალდებულებები -----	30
16. ამონაგები -----	30
17. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება -----	31
18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები-----	31
19. მიწოდების ხარჯები-----	31
20. საპროცენტო ხარჯი (ნეტო) -----	32
21. არასაოპერაციო ხარჯი -----	32
22. ფინანსური და სხვა რისკების მართვა -----	32
23. პირობითი ვალდებულებები -----	37
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან-----	37
25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები-----	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „New Road“-ის მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „New Road“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „*პირობითი მოსაზრების საფუძველი*“- ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „New Road“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ების) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღებისათვის არ ვიყავით დანიშნულნი შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთის არსებობასთან დაკავშირებით, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად **11,596** ლარის და **441,366** ლარის ოდენობით (შენიშვნა 11).

2018, წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია **207,724** ლარით (შენიშვნა 7).

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულნი შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ სასაქონლო მატერიალურ მარაგებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“-

ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს „New Road“-ისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს „New Road“-ის 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა წინამორბედმა აუდიტორმა, რომელმაც 2018 წლის 29 ივნისს პირობითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ.

მოდულიზირების საფუძველს წარმოადგენდა შემდეგი:

ჩვენ არ დავსწრებივართ ნაღდი ფულის ინვენტარიზაციას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულნი შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთის არსებობასთან დაკავშირებით, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 441,366 ლარის ოდენობით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „New Road“-ის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან შპს „New Road“-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით

ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ *შპს „New Road“-ის* შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა *შპს „New Road“-ის* ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება *შპს „New Road“-ი* უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია შპს „New Road“-ის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით): ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარსადგენად, შესაბამის ტენდერში მონაწილეობის მიზნით; ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

აუდიტორად დანიშვნა

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ შპს „New Road“-თან გაფორმებული, 2019 წლის 1 თებერვლის ხელშეკრულების # 0201/001-2019, ასევე 2019 წლის 1 თებერვლის გარიგების წერილის საფუძველზე, იმისათვის რომ ჩაგვეტარებინა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს 3 წელს, რომელიც შესაბამისად 2018, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდებს მოიცავს.

გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, სხვა მარწმუნებელი ან არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა შპს „New Road“-სათვის არ მომხდარა. ჩვენ დამოუკიდებელი ვიყავით შპს „New Road“-საგან, ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით პაპიაშვილი

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10;

სართული 3, ოფისი 4,

თბილისი 0186, საქართველო

14 მაისი 2019 წელი

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია შპს „New Road“-ის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით): ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში წარსადგენად, შესაბამის ტენდერში მონაწილეობის მიზნით; ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად. 2018 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

აუდიტორად დანიშვნა

ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ შპს „New Road“-თან გაფორმებული, 2019 წლის 1 თებერვლის ხელშეკრულების # 0201/001-2019, ასევე 2019 წლის 1 თებერვლის გარიგების წერილის საფუძველზე, იმისათვის რომ ჩაგვეტარებინა 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. აუდიტის გარიგებაში დაკავების ჯამური უწყვეტი პერიოდი შეადგენს 3 წელს, რომელიც შესაბამისად 2018, 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებულ პერიოდებს მოიცავს.


გარდა ზემოაღნიშნული აუდიტორული მომსახურებისა, სხვა მარწმუნებელი ან არამარწმუნებელი მომსახურების გაწევა შპს „New Road“-სათვის არ მომხდარა. ჩვენ დამოუკიდებელი ვიყავით შპს „New Road“-საგან, ჩვენი აუდიტის ჩატარების პროცესში.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

დავით პაპიაშვილი

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით
პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10;
სართული 3, ოფისი 4,
თბილისი 0186, საქართველო

14 მაისი 2019 წელი



შპს „New Road“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	9,493,961	3,267,613
არამატერიალური აქტივები	5	130,210	-
სხვა აქტივები	6	1,144,244	283,113
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,768,415	3,550,726
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	207,724	70,699
სხვა აქტივები	6	178,697	70,450
გაცემული სესხები	8	6,527	18,527
მოთხოვნები დაუსრულებელი კონტრაქტებიდან			
გაწეული დანახარჯებისა და შეფასებული მოგების			
მიხედვით		-	612,436
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,592,994	955,481
თანხები საგარანტიო ანგარიშებზე	10	2,003,262	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,888,088	470,054
სულ მიმდინარე აქტივები		6,877,292	2,197,647
სულ აქტივები		17,645,707	5,748,373
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
დაგროვილი მოგება		2,631,989	1,767,995
სულ კაპიტალი		2,631,989	1,767,995
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	12	7,568,679	1,973,478
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,568,679	1,973,478
მიმდინარე ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	12	1,214,482	491,085
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან		-	54,818
მიღებული სესხები	13	600,272	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	5,134,525	1,446,505
საგადასახადო ვალდებულებები	15	495,760	14,492
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,445,039	2,006,900
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		17,645,707	5,748,373

დირექტორი
დავით ჟღენტი

მთავარი ბუღალტერი
გიორგი კირვალიძე

----- 2019

----- 2019

თბილისი

თბილისი

შპს „New Road“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	9,493,961	3,267,613
არამატერიალური აქტივები	5	130,210	-
სხვა აქტივები	6	1,144,244	283,113
სულ გრძელვადიანი აქტივები		10,768,415	3,550,726
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	207,724	70,699
სხვა აქტივები	6	178,697	70,450
გაცემული სესხები	8	6,527	18,527
მოთხოვნები დაუსრულებელი კონტრაქტებიდან			
გაწეული დანახარჯებისა და შეფასებული მოგების			
მიხედვით		-	612,436
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,592,994	955,481
თანხები საგარანტიო ანგარიშებზე	10	2,003,262	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	1,888,088	470,054
სულ მიმდინარე აქტივები		6,877,292	2,197,647
სულ აქტივები		17,645,707	5,748,373
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები			
მესაკუთრეთა კაპიტალი			
დაგროვილი მოგება		2,631,989	1,767,995
სულ კაპიტალი		2,631,989	1,767,995
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	12	7,568,679	1,973,478
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,568,679	1,973,478
მიმდინარე ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	12	1,214,482	491,085
მიღებული ავანსები დაუმთავრებელი პროექტებიდან		-	54,818
მიღებული სესხები	13	600,272	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	5,134,525	1,446,505
საგადასახადო ვალდებულებები	15	495,760	14,492
სულ მიმდინარე ვალდებულებები		7,445,039	2,006,900
სულ მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები		17,645,707	5,748,373

დირექტორი

დავით ჟღენტა

01.01.2019

თბილისი

მთავარი ბუღალტერი

გიორგი კირვალიძე

01.01.2019

თბილისი

შპს „New Road“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	16	24,547,541	20,943,580
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	17	(19,617,258)	(18,285,619)
საერთო მოგება		4,930,284	2,657,961
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(831,878)	(560,288)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	19	(317,057)	(274,628)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,148,935)	(834,916)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		3,781,349	1,823,046
საპროცენტო ხარჯი	20	(552,366)	(192,135)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო		(141,374)	(136,995)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		16,140	35,038
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	21	(26,798)	(84,811)
ძირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		-	56,068
მოგება დაბეგვრამდე		3,076,951	1,500,211
მოგების გადასახადის ხარჯი		(334,010)	(8,320)
წლის მთლიანი სრული მოგება		2,742,941	1,491,891

დირექტორი
დავით ჟღენტო

----- 2019

თბილისი

მთავარი ბუღალტერი
გიორგი კირვალიძე


----- 2019


თბილისი

შპს „New Road“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	16	24,547,541	20,943,580
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	17	(19,617,258)	(18,285,619)
საერთო მოგება		4,930,284	2,657,961
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18	(831,878)	(560,288)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	19	(317,057)	(274,628)
სულ საოპერაციო ხარჯები		(1,148,935)	(834,916)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		3,781,349	1,823,046
საპროცენტო ხარჯი	20	(552,366)	(192,135)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო		(141,374)	(136,995)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		16,140	35,038
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	21	(26,798)	(84,811)
მირითადი საშუალების რეალიზაციით მიღებული მოგება/(ზარალი)		-	56,068
მოგება დაბეგვრამდე		3,076,951	1,500,211
მოგების გადასახადის ხარჯი		(334,010)	(8,320)
წლის მთლიანი სრული მოგება		2,742,941	1,491,891

დირექტორი
დავით ჟღენტი

თბილისი 2019

მთავარი ბუღალტერი
გიორგი კირვალიძე

თბილისი 2019

შპს „New Road“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	პარტნიორთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	90,000	576,104	666,104
კაპიტალის შემცირება	(90,000)	-	(90,000)
წლის წმინდა მოგება	-	1,491,891	1,491,891
დივიდენდის გაცემა	-	(300,000)	(300,000)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	-	1,767,995	1,767,995
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
წლის წმინდა მოგება	-	2,742,941	2,742,941
დივიდენდის გაცემა	-	(1,878,947)	(1,878,947)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	-	2,631,989	2,631,989

დირექტორი
დავით ჟღენტი

----- 2019
თბილისი

მთავარი ბუღალტერი
გიორგი კირვალიძე


----- 2019
თბილისი

შპს „New Road“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)


	პარტნიორთა კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2016	90,000	576,104	666,104
კაპიტალის შემცირება	(90,000)	-	(90,000)
წლის წმინდა მოგება	-	1,491,891	1,491,891
დივიდენდის გაცემა	-	(300,000)	(300,000)
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	-	1,767,995	1,767,995
კაპიტალის ცვლილება	-	-	-
წლის წმინდა მოგება	-	2,742,941	2,742,941
დივიდენდის გაცემა	-	(1,878,947)	(1,878,947)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	-	2,631,989	2,631,989

დირექტორი
დავით ჟღენტო

 2019
თბილისი



მთავარი ბუღალტერი
გიორგი კირვალიძე

 2019
თბილისი

შპს „New Road“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		31,015,513	21,687,130
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(20,730,505)	(18,323,722)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი		(1,700,063)	(826,427)
თანამშრომლებზე გაცემული მივლინების სადღეღამისო		(179,835)	(126,684)
გადახდილი გადასახადი		(1,338,450)	(822,996)
საგარანტიო ანგარიშებზე თანხების მოძრაობა		(2,001,706)	-
სხვა გადახდილი თანხები		(7,803)	(35,806)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		5,057,151	1,551,496
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(105,980)	(326,041)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	606,109
სესხის (გაცემა)/დაბრუნება		22,772	126,500
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(83,208)	406,568
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(1,878,947)	(300,000)
გადახდილი პროცენტი		(81,338)	(44,143)
კაპიტალის შემცირება		-	(90,000)
კომერციული ბანკისგან მიღებული სესხი		1,127,236	-
მიღებული სესხის ძირის დაფარვა		(592,971)	-
ფინანსურ იჯარაზე გადახდილი პროცენტი		(823,027)	(154,302)
ფინანსური იჯარის თანხის დაფარვა		(1,316,193)	(1,036,885)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,565,240)	(1,625,330)
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		9,332	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		1,418,035	332,734
ფულადი სახსრები საანგარიშო წლის დასაწყისისთვის	11	470,054	137,320
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის	11	1,888,088	470,054

დირექტორი
დავით ჟღენტი

----- 2019

თბილისი

მთავარი ბუღალტერი
გიორგი კირვალიძე

----- 2019

თბილისი

შპს „New Road“
2018 წლის ფინანსური ანგარიშგება

**2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2018 წელი	2017 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები		31,015,513	21,687,130
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		(20,730,505)	(18,323,722)
თანამშრომლებზე გაცემული ხელფასი		(1,700,063)	(826,427)
თანამშრომლებზე გაცემული მივლინების სადღეღამისო		(179,835)	(126,684)
გადახდილი გადასახადი		(1,338,450)	(822,996)
საგარანტიო ანგარიშებზე თანხების მოძრაობა		(2,001,706)	-
სხვა გადახდილი თანხები		(7,803)	(35,806)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		5,057,151	1,551,496
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(105,980)	(326,041)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	606,109
სესხის (გაცემა)/დაბრუნება		22,772	126,500
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(83,208)	406,568
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდი		(1,878,947)	(300,000)
გადახდილი პროცენტი		(81,338)	(44,143)
კაპიტალის შემცირება		-	(90,000)
კომერციული ბანკისგან მიღებული სესხი		1,127,236	-
მიღებული სესხის ძირის დაფარვა		(592,971)	-
ფინანსურ იჯარაზე გადახდილი პროცენტი		(823,027)	(154,302)
ფინანსური იჯარის თანხის დაფარვა		(1,316,193)	(1,036,885)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,565,240)	(1,625,330)
საკუროსო სხვაობის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		9,332	-
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		1,418,035	332,734
ფულადი სახსრები საანგარიშო წლის დასაწყისისთვის	11	470,054	137,320
ფულადი სახსრები საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის	11	1,888,088	470,054

დირექტორი
დავით ჟღენტო

დავით ჟღენტო 2019
თბილისი

მთავარი ბუღალტერი
გიორგი კირვალიძე

გიორგი კირვალიძე 2019
თბილისი

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „New Road“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2010 წლის 29 ოქტომბერს. საიდენტიფიკაციო კოდია 441993112. მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქუჩა ბურძგლა, N 74-74ა-74ბ, სადარბაზო 2, ბინა N65, (ნიშნული 3.45), სართული 1.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა - დავით ჟღენტი, პ.ნ.: 01023009955 - გენერალური დირექტორი; ზაზა ლომთათიძე, პ.ნ.: 46001018877 - ტექნიკური დირექტორი, სოფიკო ცხომიძე, პ.ნ.: 46001003286 - ფინანსური დირექტორი;

მესაკუთრე (100%) - დავით ჟღენტი, პ.ნ.: 01023009955.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გზების და ავტობანების მშენებლობა, ასფალტბეტონის წარმოება, ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება.

2017 წლის ბოლოსათვის კომპანიას ჰქონდა შემდეგი მიმდინარე პროექტები. (დასრულდა 2018 წელს):

- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-19) ჩოლაბურის ხიდი - თერჯოლა - ტყიბული - ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ15+200-კმ21+000 მონაკვეთის შეკეთება. ხელშ. ე.ტ. N79-17.
ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 912,712 ლარს, ხოლო ფაქტიურმა მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 911,099 ლ. სამუშაოს განხორციელების ვადა: 2017წ. დეკემბერი-2018წ. იანვარი.
- ადგილობრივი მნიშვნელობის მუხანესტატე - ცეცხლაურის საჯარო სკოლის ს/გზის კმ0+00 - კმ4+900 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
საკონტრაქტო ღირებულება: 2,474,003 ლარი, საბოლოოდ შესრულდა ნაწილობრივ, 1,896,039 ღირებულებით. სამუშაოს განხორციელების ვადა: 2017წ. დეკემბერი-2018წ. მარტი.
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში E-60 საავტომობილო გზის ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობა, ხელშეკრულება #25/12-17.
საკონტრაქტო ღირებულება 267,119 ლარი, ფაქტიური საბოლოო შემოსავალი - 279,738 ლარი. სამუშაოს განხორციელების ვადა: 2017წ. დეკემბერი-2018წ. იანვარი.

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2018 წლის ბოლოსათვის კომპანიას ჰქონდა შემდეგი მიმდინარე პროექტები:

- შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზუგდიდი-ანაკლიას საავტომობილო გზის კმ15-კმ25 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულება №.ტ.102-18 თანხა 10188888 ლარი, ხელშეკრულება მოქმედების ვადა: 19.09.2018 - 24.07.2019.
- კმ 49 - კმ 54 საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის გზის კმ 49 - კმ 54
- 1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, ბუკისციხე-ზემო სურების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის კმ0+00 - კმ6+500 სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშ. ე.ტ. N 129-18 20.11.2018 – 20.10.2019 / სპა # **NAT180015614**
- 2 საჩხერე-ქვემო ხევი- უზუმთას საავტომობილო გზის შქმერი-ზუდალის კმ 40.9-კმ 48.6 მონაკვეთის რეაბილიტაციის სამუშაოები ლოტი VI ხელშ N ე.ტ. N 154-18 18.12.2018წ - 18.07.2020 ლარი / სპა # **NAT180017669**
- 3 შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ბაღდათი - აბასთუმანის მონაკვეთის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია კმ75- კმ81 ხელშეკრულება №.ტ.#146-18 14.12.2018 – 14.07.2020 ლარი / სპა # **NAT180016380**
- 4 შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გუფთა-ონის საავტომობილო გზის კმ54-კმ63 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშეკრულება NSLRPIII/CW/NCB-33 19.02.2019-04.03.2020 / სპა # **DEP180000090**

2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი პროექტები:

- N 41-17 ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ხორგა - ყულევის დამაკავშირებელი 16 კმ-იანი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშ ე.ტ. N 41-17;
- ე.ტ.N79-17 შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-19) ჩოლაბაურის ხიდი - თერჯოლა - ტყიბული - ამბროლაურის საავტომობილო გზის კმ15+200-კმ21+000 მონაკვეთის შეკეთების სამუშაოები ხელშ. ე.ტ.N79-17;
- ქობულეთი სოფ. მუხაესტატე - ცეცხლაურის დამაკავშირებელი გზა, ადგილობრივი მნიშვნელობის მუხაესტატე-ცეცხლაურის საჯარო სკოლის ს/გზის კმ 0+00 - კმ 6+320 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხელშ. ე.ტ.N 56-18.
- აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში E-60 საავტომობილო გზის ზესტაფონი-ქუთაისის ახალი შემოვლითი გზის მონაკვეთის მშენებლობის ფარგლებში. ხელშ. #25/12-17, ზესტაფონი ავტობანი-არგვეთის კვანძი.
- N44 07.03.2018 ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა (II ეტაპი) N44 07.03.2018
- EIB/MIMP/W/NCB/50-2018 საჩხერე, გორისა ჯალაურთას გზის რეაბილიტაცია
- ქობულეთი სოფ. მუხაესტატე - ცეცხლაურის დამაკავშირებელი გზა II
- N76-18 ჭალადიდი-ხორგა-ხობის საავტომობილო გზის კმ1-კმ4 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები ხელშ. ე.ტ. N76-18
- N147 02.07.2018 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (იანუელი) სოფელ ქვემოერკეთიდან მოედანას მიმართულებით სოფელ ბუკისციხის ცენტრამდე საავტომობილო გზაზე ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები ხელშ. N147 02.07.2018
- გეზი ფოთი, საზღვაო ნავსადგური (გეზი)
- ლანჩხუთი, სოფ. ლესა - საჯავახო (წრიული)

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების და შეფასების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მფლობელებსა და მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როდესაც ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21-ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. კურსთაშორის სხვაობიდან წარმოქმნილი მოგება და ზარალი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

2018 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსები იყო შემდეგი:

ლარი/აშშ. დოლარი

31.12.2017	2.5922
31.12.2018	2.6766

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2018 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

ფასს 15 - შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც საწარმოებს სთავაზობს ერთიან, სრულ სააღრიცხვო მოდელს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვასთან დაკავშირებით. ფასს 15 მა ჩაანაცვლა შემოსავლის აღიარების არსებულ მიდგომა, მათ შორის ბასს 18-ს - შემოსავლები, ბასს 11-ს - სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა და მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებულ ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

აღნიშნული მოდელი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან.
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე „კონტროლი“ კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე, შემოდის შემოსავლის განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნები.

2018 წელს კომპანიას ფინანსურ ანგარიშგებაზე აღნიშნულ სტანდარტს გავლენა არ მოუხდენია, რადგან კომპანია მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცემს შესრულებული სამუშაოების ნაწილს, ხოლო წლის ბოლოს არსებული შესრულებული სამუშაოს ნაწილზე კონტროლის გადაცემა არ მომხდარა შემკვეთზე.

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს - 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. მან ჩაანაცვლა ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისათვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავალში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის“ მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებას, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 ფონდს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომებს ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩაანაცვლდა „ეკონომიკური ურთიერთობის პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. სტანდარტი ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან.

აღნიშნული სტანდარტის ძალაში შესვლას არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2018 წლის 1 იანვრისთვის:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისათვის არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არის შემდეგი:

ფასს 16 - იჯარა - (გამოშვებული 2016 წლის იანვარში) ახალი სტანდარტი ამოქმედდება 2019 წლის 1 იანვრიდან, რომელიც შეცვლის ბასს-17 და მის განმარტებებს. მნიშვნელოვანია ის, რომ თითქმის ყველა იჯარის სახეობა, ბალანსში მოექცევა ერთი მოდელის ქვეშ (გარდა

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

12 თვეზე ნაკლები და დაბალ-ღირებულებიანი იჯარებისა). ეს ცვლილებები მოახდენს ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავების ელიმინირებას. თუმცა მეიჯარის აღრიცხვის მეთოდი უმეტესწილად უცვლელი დარჩება და ამ შემთხვევაში ფინანსური და საოპერაციო იჯარის განსხვავება შენარჩუნებული იქნება. მოიჯარე აღიარებს გამოყენების უფლების მქონე აქტივს, რაც წარმოადგენს მის უფლებას ისარგებლოს ქვემდებარე აქტივით და საიჯარო ვალდებულებას, რომელიც საიჯარო გადახდების განხორციელების ვალდებულებას წარმოადგენს. არსებობს აღიარების გამონაკლისები მოკლევადიანი იჯარებისთვის და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო ერთეულებისთვის. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია საწარმოებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 15-ს, ფასს 16-ს თავდაპირველი გამოყენების დღეს ან ამ თარიღამდე. ხელმძღვანელობის აზრით ფასს 16-ს გამოიყენებს კომპანია, მას შემდეგ რაც ის გახდება სავალდებულო, თუმცა, არ არის მიზანშეწონილი აღნიშნული გავლენის მასშტაბის შეფასება, სანამ არ შესრულდება დეტალური მიმოხილვა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს ყოფს შემდეგ კატეგორიებად შეძენილი აქტივების დანიშნულებიდან გამომდინარე:

- სესხები და მოთხოვნები
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები
- რეალური ღირებულებით აღრიცხული, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია გაცემული სესხებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ექვივალენტებით. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე. აღნიშნული აქტივები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახდელები და აქტიურ ბაზარზე მათი ფასი კოტირებული არ არის. ასეთი ტიპის ფინანსური აქტივები, როგორც წესი წარმოიშობა მომხმარებელთათვის საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის, ან სესხების გაცემის დროს, მაგრამ მოიცავს ასევე სხვა ტიპის საკონტრაქტო მონეტარულ აქტივებსაც. სესხებისა და მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის შესყიდვის, ემისიის ან რეალიზაციის პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო შემდგომი აღიარება ხდება გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გაუფასურების რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, კონტრაგენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები, გადახდების დაგვიანება და ა.შ.), რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მოთხოვნის ამოღებას კონტრაგენტებისგან. ასეთი რეზერვის თანხა არის სხვაობა გაუფასურებულ მოთხოვნებთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე და საბალანსო ღირებულებას შორის. მოთხოვნებისა და გაცემული სესხებისთვის, რომლებიც წმინდა ღირებულებით არის წარმოდგენილი ფინანსურ

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ანგარიშგებაში, ასეთი რეზერვები აისახება წმინდა მუხლად, ხოლო შესაბამისი ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნებისა და გაცემული სესხების ამოღება შეუძლებელია, აქტივების მთლიანი ღირებულება მცირდება შესაბამისი რეზერვით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები და რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებების ვადა გადის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (ი) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (იი) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს ორ სახეობად, გამომდინარე მათი ხასიათიდან:

- რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით
- სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური ვალდებულებები წარმოდგენილია ფინანსური იჯარის ვალდებულებით და სხვა ვალდებულებებით. ამგვარი ტიპის ვალდებულებების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით, პირდაპირ დაკავშირებული ტრანზაქციის ღირებულების გათვალისწინებით. საწყისი აღიარების შემდეგ ფინანსური ვალდებულებები აღრიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

მიმდინარე პერიოდში კომპანიას არ გააჩნია რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულება, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდება ნეტო თანხით, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

კომპანია ფლობს ფინანსური იჯარით აღებულ ძირითად საშუალებებს, რომლებიც თავდაპირველად აღიარებულია გადასახდელი იჯარის თანხების დისკონტირებული ღირებულებით, რაც შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ქარხნები და დანადგარები	10
სამშენებლო ტექნიკა	10
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	2-5

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

კომპანია საინვესტიციო ქონებად აკლასიფიცირებს აქტივებს (მიწა ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების ან კაპიტალის ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის და გასაყიდად ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდება ქონების გასვლა ან შეწყდება გამოყენება და მოსალოდნელი აღარ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გასვლიდან. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება როგორც სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს სამშენებლო მასალებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ამონაგები სამშენებლო კონტრაქტებიდან

თუ შესაძლებელია სამშენებლო კონტრაქტების შედეგების საიმედოდ შეფასება, სამშენებლო კონტრაქტებთან დაკავშირებული ამონაგები და დანახარჯები უნდა აღიარდეს ამონაგებისა და ხარჯების სახით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საკონტრაქტო სამუშაოების შესრულების სტადიის მიხედვით.

კომპანია ეტაპობრივად ასრულებს სამუშაოებს და დაახლოებით თვეში ერთხელ დამკვეთთან ფორმდება აქტი შესრულებულ სამუშაოებზე, სადაც საიმედოდ შეფასებული შედეგებია მოცემული.

დანახარჯებს დამატებული ანაზღაურების ტიპის კონტრაქტებისათვის ამონაგები აღიარდება მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ასანაზღაურებელი დანახარჯებისა და სამშენებლო ხელშეკრულებაში მოცემული საერთო მარჟის მიხედვით.

თუ შეუძლებელია სამშენებლო კონტრაქტის შედეგების საიმედოდ შეფასება, კომპანია აღიარებს ამონაგების ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია იმ საკონტრაქტო დანახარჯებთან, რომლის ანაზღაურებაც მოსალოდნელია; და საკონტრაქტო დანახარჯების ხარჯად აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ისინი განხორციელდა.

საკონტრაქტო დანახარჯები აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გაწევა. თუ კომპანიის ხელმძღვანელობა მოელის, რომ მთლიანი საკონტრაქტო დანახარჯები გადააჭარბებს მთლიან საკონტრაქტო ამონაგებს, მოსალოდნელი ზარალის თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება ხარჯად.

სამშენებლო კონტრაქტთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს. ა) დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ სამშენებლო კონტრაქტებთან; ბ) დანახარჯებს, რომლებიც დამახასიათებელია სამშენებლო კონტრაქტით გათვალისწინებული საერთო საქმიანობისათვის და შესაძლებელია მისი მიკუთვნება კონკრეტულ კონტრაქტზე; და გ) ისეთ დანახარჯებს, რომლებიც დამკვეთს ერიცხება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული დანახარჯები შესაძლოა შემცირდეს მოულოდნელი ამონაგების წარმოშობის შედეგად, რომელიც კონტრაქტით არ იყო გათვალისწინებული. კომპანია სამშენებლო ზედნადებში დანახარჯების განაწილებას ახორციელებს სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე. შერჩეული მეთოდი გამოიყენება მუდმივად ყველა ანალოგიური ტიპის დანახარჯისათვის. დანახარჯების განაწილება ხორციელდება სამშენებლო საქმიანობის საშუალო დონის მიხედვით.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ყველა იმ დაუმთავრებელი კონტრაქტისათვის, როდესაც გაწეული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხა აღემატება შუალედური ანგარიშების თანხების ჯამს, კომპანიას წარმოექმნება დამკვეთისაგან მისაღები თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი აქტივების ნაწილში. როდესაც შუალედური ანგარიშების თანხები აღემატება გაწეული დანახარჯების თანხას დამატებული აღიარებული მოგების და გამოკლებული აღიარებული ზარალის თანხას, კომპანიას წარმოექმნება დამკვეთის სასარგებლოდ გადასახდელი თანხა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში წარსდგება მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილში.

თანხები, რომელიც დარიცხულია შესრულებული სამუშაოსთვის, მაგრამ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის ანაზღაურებული დამკვეთის მიერ, წარსდგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მუხლში „სავაჭრო და სხვა მოთხოვნები“.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა შემოსავლების აღიარება

სამშენებლო კონტრაქტებიდან მიღებული და საპროცენტო შემოსავლების გარდა, სხვა შემოსავლების აღიარება ხდება, როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან. მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, სპეციფიკიდან გამომდინარე, გადავადებული მოგების გადასახადის არსებობა აზრს კარგავს, ხოლო მიმდინარე პერიოდში მისი წარმოქმნა არ ხდება. ამიტომ, 2015 წელს წაროქმნილი გადავადებული მოგების გადასახადი კომპანიამ გააუქმა 2016 წელს.

პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში. კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, რომელიც წარდგენილია (ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი) „სხვა ხარჯების“ და „ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის“ მუხლში, შესაბამისად.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები. საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.

არასაოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება არასაოპერაციო იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. არასაოპერაციო იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ საიჯარო კონტრაქტის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საპროცენტო განაკვეთის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ასფალტო-ბეტონის მწარმოებელი მობილური ქარხნის სიმძლავრეები	სამშენებლო ტექნიკა	სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 31.12.2016-ის მდგომარეობით	-	786,032	274,502	14,336	56,619	1,131,489
დამატება		2,449,923	558,339	8,929	1,763	3,018,953
აქტივების ჩამოწერა/გასვლა		(515,423)	-	-	(28,287)	(543,710)
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	-	2,720,532	832,841	23,265	30,095	3,606,733
დამატება	6,489,650	454,788	74,890	1,394	-	7,020,722
აქტივების ჩამოწერა/გასვლა				(4,604)	(1,612)	(6,216)
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	6,489,650	3,175,320	907,731	20,055	28,483	10,621,239
აკუმულირებული ცვეთა						
ნაშთი 31.12.2016-ის მდგომარეობით	-	139,489	17,920	8,767	6,543	172,719
პერიოდის ცვეთა		133,689	84,622	3,432	6,740	228,483
ჩამოწერილი/გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა		(57,839)	-	-	(4,243)	(62,082)
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	-	215,339	102,542	12,199	9,040	339,120
პერიოდის ცვეთა	379,739	278,171	129,390	2,979	3,071	793,349
ჩამოწერილი/გასული აქტივების დაგროვილი ცვეთა				(4,033)	(1,158)	(5,191)
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	379,739	493,510	231,932	11,145	10,953	1,127,278
წმინდა საბალანსო ღირებულება						
ნაშთი 31.12.2016-ის მდგომარეობით	-	646,543	256,582	5,569	50,076	958,770
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	-	2,505,193	730,299	11,066	21,055	3,267,613
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	6,109,911	2,681,810	675,799	8,910	17,531	9,493,961

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

4.1. კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებებიდან 453,976ლ. ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და სამშენებლო ტექნიკაზე რეგისტრირებულია გირავნობა სს "პროგრედიტ ბანკი"-ს მიერ. უფლებრივი შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირებული არ არის.

4.2. ასფალტო-ბეტონის მწარმოებელი მობილური ქარხნის სიმძლავრეები

	შენობა- ნაგებობები	ასფალტის ქარხანა და ქვის სამსხვრევი დანადგარი	სამშენებლო ტექნიკა	სატვირთო და მსუბუქი ავტომობილები	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-	-
დამატება	46,767	5,772,065	623,532	36,122	5,585	5,579	6,489,650
აქტივების ჩამოწერა/გასვლა	(2,601)	(328,714)	(37,688)	(9,470)	(907)	(359)	(379,739)
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	44,166	5,443,351	585,845	26,652	4,677	5,220	6,109,911

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. არამატერიალური აქტივები

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიები	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31.12.2016-ის მდგომარეობით	-	-	-
დამატება		-	-
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	-	-	-
დამატება	190,159	932	191,091
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	190,159	932	191,091
აკუმულირებული ამორტიზაცია			
ნაშთი 31.12.2016-ის მდგომარეობით	-	-	-
ამორტიზაცია 2017	-	-	-
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	-	-	-
ამორტიზაცია 2018	60,881	-	60,881
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	60,881	-	60,881
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31.12.2016-ის მდგომარეობით	-	-	-
ნაშთი 31.12.2017-ის მდგომარეობით	-	-	-
ნაშთი 31.12.2018-ის მდგომარეობით	129,278	932	130,210

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიები მოიცავს ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიებს. ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოპოვებული ბუნებრივი რესურსების პროპორციულად. ამორტიზაციის ხარჯი მთლიანად გროვდება მოპოვებული ქვიშა-ხრეშის თვითღირებულებაში.

6. სხვა აქტივები

„სხვა აქტივებში“ ასახულია ფინანსური იჯარის აღრიცხვის შედეგად წარმოქმნილი აქტივი, რომელიც ერთის მხრივ, როგორც ვალდებულება ფინანსური მეიჯარის მიმართ ასახულია „ფინანსური იჯარის ვალდებულების“ ანგარიშზე და წარმოადგენს გადასახდელი თანხებიდან დღგ-ს ნაწილს, მეორეს მხრივ კი წარმოადგენილია „სხვა აქტივების“ მუხლში, როგორც მომავალში ყოველთვიურად გადახდელი თანხების მიხედვით ჩასათვლელი დღგ. „სხვა აქტივს“ წარმოადგენს ფინანსური იჯარის აღრიცხვის გამო წარმოქმნილი დღგ, რომელსაც ყოველთვიური გადახდების დროს კომპანია ჩაითვლის. გადახდის გარეშე მისი ჩათვლა კომპანიას არ შეუძლია, მაგრამ აქტივი ნაღარიბია, რადგან მისი წილი ვალდებულებას თიბისის ლიზინგის და შპს საქ. სალიზინგო კომპანიის წინაშე ნაღარიბი.

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

7. მარაგები

	31.12.2018	31.12.2017
დაუმთავრებელი მშენებლობა	58,419	-
ბიტუმი	11,714	40,406
საწვავი	19,927	9,136
ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი, მ.შ.:		8,077
მოპოვებული ნედლეული	15,028	-
ნაწარმოები ინერტული მასალები	91,620	-
შავი ლითონის ჯართი	2,462	2,462
არმატურა 14 მმ	-	7,450
სხვა	8,554	3,168
სულ	207,724	70,699

8. გაცემული სესხი

კომპანიის მიერ გაცემულ სესხს წარმოადგენს დაკავშირებულ მხარეზე - შპს მარინზე - გაცემული სესხი, რომელიც 2017 წელს დაიფარა, მოთხოვნის სახით დარჩენილია დარიცხული პროცენტი 6,527 ლარის ოდენობით.

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31.12.2018	31.12.2017
შპს "მარინი"	6%	ლარი	6,527	18,527
სულ			6,527	18,527

	31.12.2018	31.12.2017
ძირი	-	-
პროცენტი	6,527	18,527
სულ	6,527	18,527

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები	1,271,037	874,571
არაფინანსური აქტივები		
გადახდილი ავანსები	1,267,191	55,734
გარანტიებისთვის და დაზღვევისთვის წინასწარ გადახდილი საკომისიო	54,765	25,176
სულ	2,592,994	955,481

10. თანხები საგარანტიო ანგარიშებზე

	31.12.2018	31.12.2017
საგარანტიო თანხა რეზიდენტ ბანკში (ლარი)	2,003,262	-
სულ	2,003,262	-

11. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2018	31.12.2017
ნაღდი ფული სალაროში (ლარი)	11,596	441,366
ფული ბანკებში (ლარი)	1,876,492	28,688
სულ	1,888,088	470,054

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

12. ფინანსური იჯარის ვალდებულება

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური იჯარის ვალდებულება	7,568,679	1,973,478
ფინანსური იჯარის მიმდინარე ვალდებულება	1,182,002	491,085
ფინანსური იჯარის ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტი	32,480	
სულ	8,783,161	2,464,563

31.12.2018

	აშშ დოლარი	ლარი	სულ
1 წლის განმავლობაში ფინანსურ იჯარაზე გადასახდელი თანხები	957,435	1,004,311	1,961,746
1-დან 5 წლამდე ფინანსურ იჯარაზე გადასახდელი თანხები	3,616,420	7,256,812	10,873,232
5 წელზე მეტ დროში ფინანსურ იჯარაზე გადასახდელი თანხები	22,519	205,590	228,110
სულ ფინანსურ იჯარაზე გადასახდელი თანხები	4,596,374	8,466,712	13,063,087
აქედან გადასახდელი პროცენტი	1,332,661	2,947,265	4,279,926
გადასახდელი ძირითადი თანხა	3,263,714	5,519,447	8,783,161

13. მიღებული სესხები

	31.12.2018	31.12.2017
სესხი რეზიდენტი ბანკისგან, აშშ დოლარში	591,852	-
მ.შ.: ძირითადი თანხა	588,852	-
დარიცხული პროცენტი	3,000	-
რეზიდენტი ბანკებისგან საგარანტიო მომსახურებისთვის გადასახდელი პროცენტი	8,420	-
სულ	600,272	-

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

31.12.2018 არსებული მიღებული სესხის ნაშთი დაფარულია სრულად 2019 წლის იანვარში

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2018	31.12.2017
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	858,250	1,197,385
გადასახდელი ხელფასები	-	-
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	4,276,275	249,120
სულ	5,134,525	1,446,505

15. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულებისგან.

16. ამონაგები

	2018	2017
ამონაგები გზების მშენებლობიდან	19,345,862	19,148,346
ამონაგები ტექნიკებით მომსახურებიდან	199,133	111,898
ამონაგები მასალების რეალიზაციიდან	4,942,643	1,683,336
ამონაგები სხვა მომსახურებიდან	59,903	-
სულ	24,547,541	20,943,580

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

17. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2018	2017
შემენილი/ნაწარმოები სმფ	15,912,039	12,219,617
ტექნიკის რემონტის ხარჯი	515,781	113,787
მიღებული მომსახურება გზის მშენებლობა	781,196	4,968,268
ცვეთა	727,638	179,812
პერსონალის ხარჯები	1,674,185	804,134
ოზურგეთის ქარხნის კომუნალური ხარჯი	6,419	-
	19,617,258	18,285,619

18. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
პერსონალის ხარჯები	573,075	376,344
ცვეთა	65,711	48,671
ოფისის იჯარა	49,885	12,220
საწვავის ხარჯი	47,701	57,852
სხვა საერთო ხარჯი	19,595	13,305
საოფისე ინვენტარი	19,083	13,025
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი	15,000	-
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	15,000	19,600
ა/მ შეკეთების ხარჯი	11,799	5,923
ბანკის მომსახურების საკომისიო	7,803	4,250
მივლინების ხარჯი	5,697	7,118
კომუნიკაციის ხარჯი	1,528	1,979
	831,878	560,288

19. მიწოდების ხარჯები

	2018	2017
ექსპერტიზისა და ლაბორატორიის ხარჯები	88,125	91,598
გარანტიისა და ქონების დაზღვევის საკომისიო	91,652	156,315
რეკლამის ხარჯი	41,124	26,714
მიწოდების სხვა ხარჯები	96,157	-
	317,057	274,628

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

20. საპროცენტო ხარჯი (ნეტო)

	2018	2017
ფინანსური იჯარის საპროცენტო ხარჯი	855,507	154,302
საგარანტიო მომსახურების საპროცენტო ხარჯი	55,547	44,143
ბანკის სესხის საპროცენტო ხარჯი	37,245	-
სახელმწიფო პროგრამა "აწარმოე საქართველოში" ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში პროგრამის ბენეფიციარის ლიზინგის მიზნობრივი თანადაფინანსება	(385,161)	-
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშებზე	(10,772)	(6,310)
	552,366	192,135

21. არასაოპერაციო ხარჯი

	2018	2017
ჯარიმები/საურავი	11,990	25,222
სხვადასხვა დაფინანსება და საჩუქრები	13,779	-
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის ჩამოწერა	-	24,044
ფულადი განაცემი დაკავშირებულ პირზე	-	30,000
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	1,029	5,545
	26,798	84,811

22. ფინანსური და სხვა რისკების მართვა

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისათვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი, რის შედეგადაც დგინდება რისკის ლიმიტი და იქმნება კონტროლის მექანიზმები. თითოეული პირი კომპანიაში ანგარიშვალდებულია მის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ რისკზე. კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო, ლიკვიდურობის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკები, ამ რისკებთან დაკავშირებული კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

კაპიტალის მართვის მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები

კომპანიამ შეიმუშავა კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პოლიტიკა და მიდგომები იმისათვის, რათა მართოს ის რისკები, რომლებიც კაპიტალის პოზიციაზე ახდენს გავლენას.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიამ შეინარჩუნოს სტაბილურობის მოთხოვნილი დონე, შედეგად, უზრუნველყოს მომხმარებლების დაცულობა;
- გაანაწილოს კაპიტალი ეფექტურად და დაეხმაროს ბიზნესს განვითარებაში, რათა უკუგებად კაპიტალზე დააკმაყოფილოს მფლობელთა მოთხოვნები;
- შეინარჩუნოს ფინანსური მოქნილობა ლიკვიდურობის შენარჩუნებისა და კაპიტალის სხვადასხვა ბაზარზე წვდომისათვის;
- შეინარჩუნოს ფინანსური სიძლიერე ახალი ბიზნესის ზრდისა და კაპიტალის მფლობელთა დაკმაყოფილების უზრუნველყოფის მიზნით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს კომპანიის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივების სახეობების მიხედვით:

	ფული და ფულის ეკვივალენტები	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	გაცემული სესხები	ჯამი
ვადადამდგარი და გაუფასურების გარეშე	1,888,088	1,271,037	2,003,262	5,162,388
361 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით		55,894		55,894
სულ ფინანსური აქტივები				
გაუფასურებამდე	1,888,088	1,326,931	2,003,262	5,218,281
გაუფასურების რეზერვი	-	(55,894)	-	(55,894)
სულ ფინანსური აქტივები	1,888,088	1,271,037	2,003,262	5,162,388

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, როდესაც კომპანია დგას ფინანსური სირთულეების წინაშე ვალდებულებების დაფარვისას და მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ახდენს ამ ტიპის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით, კომპანია ახდენს მომავალი ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რომელიც აქტივების/ვალდებულებების მენეჯმენტის პროცესია.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით., რომელიც დაფუძნებულია დარჩენილ არადისკონტირებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებზე. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინების საფუძველზე ანაზღაურებას, განიხილება, თითქმის შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა, თუმცა კომპანია გამოცდილებით იმედოვნებს, რომ ბევრი მომწოდებელი ერთდროულად არ მოითხოვს ვალდებულებების დაფარვას.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური ვალდებულებები					
ფინანსური იჯარა	42,288	1,172,193	7,403,470	165,210	8,783,161
სესხი ბანკისგან	600,272	-	-	-	600,272
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	355,606	47,754	454,890	-	858,250
სულ ფინანსური ვალდებულებები	998,166	1,219,947	7,858,360	165,210	10,241,683

კომპანიის მენეჯმენტი არ იყენებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ დაუდისკონტირებელი ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს ლიკვიდურობის რისკის სამართავად, არამედ იგი ახორციელებს ლიკვიდურობის სხვაობის მონიტორინგს, რომელიც ეფუძნება როგორც ფინანსური ვალდებულებების, ასევე, ფინანსური აქტივების მოსალოდნელ დაფარვის ვადებს ფინანსური აქტივების ვადიანობის ანალიზი ეფუძნება მათ საბალანსო ღირებულებას:

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	0-3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,888,088	-	-	-	1,888,088
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	580,725	690,312	-	1,271,037
მოთხოვნები ბანკებიდან (სს თიბისი ბანკი)	921,311	1,081,952	-	-	2,003,262
სულ ფინანსური აქტივები	2,809,399	1,662,677	690,312	-	5,162,388
 ლიკვიდურობის სხვაობა	 1,811,233	 442,730	 (7,168,048)	 (165,210)	 (5,079,296)
 აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა	 1,811,233	 2,253,962	 (4,914,086)	 (5,079,296)	

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზის ცხრილიდან ჩანს, რომ აკუმულირებული ლიკვიდურობის სხვაობა უარყოფითი მაჩვენებელია გრძელვადიან პერიოდში. ეს ფაქტი გამოწვეულია ფინანსური იჯარის ვალდებულებიდან, რაც მენეჯმენტის გათვლებით სამუშაო პროექტებისა და შემოსავლების გაზრდის ფონზე დაიფარება.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შემცირების რისკი, საბაზრო პირობების ცვლილების შედეგად.

კომპანიის საბაზრო რისკი წარმოიშვება პროცენტის მატარებელი და უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი შემოსავლების ცვლილებაში საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო რისკი) და ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტის მატარებელ აქტივებთან - სესხებთან, მათი ცვლადი განაკვეთებიდან გამომდინარე. კომპანიას მიმდინარე პერიოდში არ გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკი. სავალუტო რისკის წინაშე შეიძლება იდგეს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა და ფულადი სახსრების მოძრაობა.

სავალუტო რისკის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად.

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	5,519,448	3,263,713	8,783,161
სესხი ბანკისგან	8,420	591,852	600,272
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	858,250	-	858,250
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,386,118	3,855,565	10,241,683
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,888,088	-	1,888,088
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,271,037	-	1,271,037
მოთხოვნები ბანკებიდან (სს თიბისი ბანკი)	2,003,262	-	2,003,262
სულ ფინანსური აქტივები	5,162,388	-	5,162,388

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს კომპანიის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ლართან მიმართებაში, 20%-იანი ზრდისა და შემცირების პირობებში. 20% წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც წარედგინება კომპანიის ხელმძღვანელობას სავალუტო რისკის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისას, და მენეჯმენტის შეფასებით, წარმოადგენს გასაცვლელი კურსის შესაძლო ცვლილებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული მუხლების საბალანსო თანხებს და აკორექტირებს საანგარიშგებო თარიღისთვის მათ ეფექტს 20%-იანი ცვლილებით.

2018 წლის 31 დეკემბრისათვის წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი შემდეგია.

	ლარი/აშშ დოლარი +20%	ლარი/აშშ დოლარი -20%
მოგება/ (ზარალი)	771,113	(771,113)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური დანაკარგის რისკი, რომელიც წარმოიშობა კომპანიის შიდა პროცესების ან სისტემის არაადეკვატურობით ან ნაკლოვანებით, ან გარე მოვლენებით, რომელიც შესაძლოა მოხდეს განზრახ, მოულოდნელად ან ბუნებრივი მოვლენების შედეგად. გარე ფაქტორები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი მოვლენებით, როგორიცაა თაღლითობა, წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა, და ა.შ.

საბაზრო მოვლენები როგორიცაა დეფოლტი ან ღირებულების ცვლილებები არ მოისაზრება საოპერაციო რისკებში. საოპერაციო რისკში კომპანია მოისაზრებს ასევე შესაბამისობის რისკსაც, რომელიც გულისხმობს რომ კომპანიას შეიძლება დაეკისროს სანქციები ან გაუფუჭდეს რეპუტაცია იმ შემთხვევაში თუ მისი საქმიანობა შესაბამისობაში არ იქნება ადგილობრივ კანონმდებლობასთან.

კომპანია საოპერაციო რისკების მართვას ახორციელებს შემდეგი ღონისძიებების საფუძველზე:

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

- ოპერაციების მონიტორინგი და რეკონსილაცია;
- მოვალეობების ადეკვატური გადანაწილება, მათ შორის ტრანზაქციების ავტორიზაცია მიუკერძოებელი პირების მიერ;
- საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- კონტროლებისა და პროცედურების დოკუმენტირება შიდა ინსტრუქციების სახით;
- საოპერაციო რისკების პერიოდული შეფასება და მათ გასაწესებლად საჭირო კონტროლების და პროცედურების ადეკვატურობის ანალიზი.

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ არის წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან,

შპს „New Road“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მექანიზმებით.

დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის განმავლობაში განხორციელებული ბრუნვა და 2018 წლის 31 დეკემბრის ნაშთები იხილეთ ქვემოთ.

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გაცემული სესხები	6,527	-	6,527
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(195,648)	-	(195,648)

ბრუნვა დაკავშირებულ მხარეებთან 2018 წლის განმავლობაში

	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობის ანაზღაურება	სულ
სრული შემოსავლების ანგარიშგება			
ამონაგები	461,978	-	461,978
შემენილი მასალებისა და მომსახურების ღირებულება	(1,499,927)	-	(1,499,927)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	593,598	593,598

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ტენდერებში მონაწილეობა

შპს „New Road“ –მა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე პერიოდის მონაცემებით გაიმარჯვა 5 ტენდერში, ჯამური შესყიდვების სავარაუდო ღირებულებით 68,465,044.99 ლარი. ესენია:

- შემსყიდველი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბაღდათი - ვანი - დაფნარის საავტომობილო გზის კმ 35 -კმ 48 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. №.ტ.N37-19 / 10,668,887.99ლარი ხელშეკრულება ძალაშია: 19.04.2019 - 19.11.2020.
- შემსყიდველი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი. ქალაქ ფოთში, ბარათაშვილის ქუჩიდან ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი და მალთაყვის სანაპირო ზოლის (ბულვარის) შემაერთებელი გზის მოწყობა. N63/ 826,000ლარი ხელშეკრულება ძალაშია: 02.04.2019 - 02.07.2019.
- შემსყიდველი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და გურიის რეგიონში საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები. სამუშაოს შესრულების ადგილია: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და გურიის რეგიონი. მოწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვე. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება 20,000,000.00 ლარი. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება 34,376.50 ლარი.
- შემსყიდველი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი. იმერეთის რეგიონში საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთების სამუშაოები. შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულება 20,000,000.00 ლარი. პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება 34,376.50 ლარი. მოწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 24 თვე, ტექნიკური დავალებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- შემსყიდველი: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის (შ-14) ქუთაისი (საღორია)-ბაღდათი-აბასთუმანი-ბენარას საავტომობილო გზის ბაღდათი-აბასთუმნის მონაკვეთზე, კაკასხიდი-ზეკარის კმ10-კმ17 მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 16,970,157.00 ლარი. მოწოდების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 18 თვე.

აღებული ვალდებულებები

შპს „New Road“ –მა ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან მისი გამოცემის თარიღამდე აიღო ფინანსური იჯარის ვალდებულება 730,499 აშშ დოლარის ოდენობით, სამშენებლო ტექნიკის შესყიდვის მიზნით.